ცნობის ფურცელი

№ 2468 პარასკევი, 16 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2468

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ)

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთი **„ცნობის ფურცელი“** 1 აპრილიდან წლის დამლევამდე სურათებიანის დამატებით ღირს 5 მან.

ვისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 მაისამდე გამოგზავნოს უეჭველად ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

ჟურნალ **„მოამბის“** რედაქცია ხელის მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ „მოამბე“ 1904 წ. I და II №-ები ყველა გავიდა და რედაქციას არ მოეპოვება.

სვიმონ და მარიამ აღნიაშვილები, ნინო და ალექსი მირიანაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

ლადო აღნიაშვილისას.

მიცვალებულს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდან პარასკევს 16 აპრილს, ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალავენ კუკიის სასაფლაოზე. (2—2)

კვირას, 18 აპრილს, ქუთაისის წმიდა გიორგის ტაძარში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

სოლომონ ნიკოლოზის ძის ღულაძის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

დაბა ბორჯომში იძლევა ქირით საზაფხულოდ „ვარანცოვის პარკში“

ბუფეტი

ხუთი ოთახით; ერთი ორ ოთახიანი **საავარაკო ბინა** ბესეტკებით, კიოსკებით, როლონდებით და სხვა მოწყობილობებით. ბუფეტი რიგიანად და წესიერად არის მოწყობილი ყველი სერვიზით; ოთახები მორთულია ყველა საჭირო მებელით. ბაღში არის ბანის-ხევიდან გამოყვანილი წყლის შადრევანი. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება ბორჯომის სადგურის ბუფეტში. (4—3)

ძმ. ნიკიტინების ცირკში

პარასკევს, 16 აპრილს, სამი ჭიდაობა ერთ საღამოს. 1 კავკასიური ჭიდაობა **ჟიბვირსა** და **ძიწიძელს** შორის. პრემია ვერცხლის საათი. მეორე ჭიდაობა ფალავანს **ცერაძისა** და **თედო ცხარისდეჟამიას** შორის. პრემია 25 მანეთი. მესამე ჭიდაობის მოყვარულთა შორის. ბოლოს გაიმართება პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერიული. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

მ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

ექ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

გ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

მ. მ. მანსვეტოვ.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. მ. სოგოლევსკი. —ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ერთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

კვირეობით ... იღებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში

კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აბოლინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—3

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბებიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიაძის ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი რეუტ. № 26). (30—6.—30)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვარნაძისა.

იძლევა

ქირით რესტორანი ოთხის წლის ვადით. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ მოიჯარადრეს გარსევან გიორგ. რატიანს, სიონის ქ., ანანოვის ქარვასლა, ზევითა სართული. (3—160—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აპრილი.

პეტერბურგი. ნამესტნიკის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 14 აპრილს: „კონტრ-ადმირალმა იესენმა, რომელიც ამ ჟამად ზღვაშია კრეისერებითა და ნაღმიან გემებით, 12 აპრილს გენზანში გაჰგზავნა ნაღმიანი გემები. ამ გემებმა ააფეთქეს იაპონიის სავაჭრო გემი, რომლის მეზღვაურნიც ნაპირზე გადაიხვეს. ამის შემდეგ ნაღმიანი გემები უკან დაბრუნდნენ“.

მოსკოვი. 11 საათზე მოვიდნენ რუდნევი და ბელიაევი „ვარიაგ“-ის მეზღვაურებთან ერთად. როდესაც აფიცრები ვაგონიდან გადმოვიდნენ, გენერალი მალახოვი სიტყვით მიეგება. მალახოვმა სთქვა, რომ გმირები ამ ჟამად შეადგენენ რუსეთის სიამაყეს და ხელშეუხებ ნუგეშსაო. რუდნევს მიართვეს დაფნის გვირგვინი; ასეთივე გვირგვინები მიართვეს სხვა აფიცრებსაც, ხოლო მატროსებს ყვავილთა კონები, რომლებითაც იმათ იქვე დაიმშვენეს გულ-მკერდი. სადგურიდან მეზღვაურნი სპასის ყაზარმებში წავიდნენ. ხალხმა [illegible] სადგურიდან ყაზარმებამდე გამწკრივებული იყვნენ ჯარი და მოსწავლენი და იდგა დიდძალი ხალხი.

მოსკოვი. სპასის ყაზარმები მეზღვაურთა მოსვლის გამო ბაირაღებით არის მორთული. შუა ეზოში კამარაა ამ წარწერით: „მშვიდობა თქვენს მობრძანებას, რუსეთის მიწის სახელოვანნო დამცველნო. თქვენი სახელი საუკუნოდ დარჩება რუსის ხალხის გულში. დიდება თქვენდა! „ურა!“ სადილის დროს მატროსებს ქალაქის მხრივ ვერცხლის ჟეტონები დაურიგეს.

ტულა. ღამის სამ-საათზე გზად გაიარეს „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის გმირებმა. თავად-აზნაურობა გულ-მხურვალედ მიეგება აზნაურს რუდნევს. ქალაქმა ვერცხლის სინზე მიართვა პურ-მარილი, ბელიაევს—ვერცხლის ფიალა, აფიცრებს—ჟეტონები, მატროსებს—შაქრის კვერები. თოფხანამ მიართვა რუდნევსა და ბელიაევს მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნების მოდელები.

სახალინი. სახალინში მშვიდობიანობაა. ნამესტნიკის განკარგულებით დღეს იაპონიიდან კორსაკოვსკში მოვა ინგლისის გემი იქ დარჩენილ იაპონელთა წასაყვანად.

ბერლინი. შიჰაუზის ქარხანა აცხადებს: ტყუილია ის ხმა, ვითომ რუსეთს ეყიდნოს გერმანიის რამდენიმე ნაღმიანი გემიო.

მუკდენი 13 აპრილს გათენებისას იაპონელთა რაზმი მდინარე იალუს გადავიდა სოფელ სიდიაგოუსთან. ჩვენმა თავისუფალ მეომართა რაზმმა სროლა დაუწყო. ჩვენის ზარბაზნების ყუმბარებმა დააქციეს ის ხიდი, რომელიც იაპონელებმა იჯუს ჩრდილოეთით გამართეს. იაპონელები მდინარეზე გადადიან პონტონებით იჯუს სამხრეთით. მდინარეზე გადმოსულ ქვეითა ჯარისა და ბატარეის ნაწილი ჩვენ პოზიციებისაკენ წამოვიდა ტიუნჩენთან, მაგრამ უკან დავწიეთ.

15 აპრილი.

მოსკოვი. თავად აზნაურთა საკრებულოში, ჩემულპოს ბრძოლის მონაწილეთა მიღების დროს, მჭევრმეტყველი სიტყვები წარმოსთქვეს. ქალაქის მოურავმა და თავად-აზნაურთა წინამძღოლმა. გმირებს დაურიგეს საჩუქრები და ჟეტონები. საღამოს 10 საათზე მეზღვაურნი პეტერბურგს წავიდნენ.

ვლადივოსტოკი. გამოცხადდა ნამესტნიკის ბრძანება იმის შესახებ, რომ ჯარის უფროს გენერალ-ლეიტენანტს ლინევიჩს მიენდოს პრიამურის დაცვა და გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის ასრულება. ზაბაიკალის ოლქი არ ექვემდებარება გენერალს ლინევიჩს.

ტოკიო. ყაზახებმა, რომელთაც სიონჯინი დასწვეს, დაიწიეს 24 კილომეტრით სამხრეთით, ტიან-ჩიონში ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეიაში მცხოვრებნი სიხარულით ეგებებიან რუსებს. იაპონიის მეციხოვნეთა რიცხვი გენზანში 800-ია. მეციხოვნენი საჩქაროდ აგებენ სიმაგრეებს.

სეული. ვლადივოსტოკის ესკადრის მიერ ჩაძირული გემი კორეელებისა იყო. ამ უკანასკნელთ იაპონელებმა წაართვეს. გენზანში არა დაზიანებულა რა.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“-მ გაიგო, რომ პეტერბურგიდან მოსული ამბავი, ვითომ ინგლისმა წინადადება მისცა რუსეთს —შუამავლობას ვიკისრებ რუსეთსა და იაპონიას შორისო, ყოველს საფუძველს მოკლებულია. ლონდონის მთავარ წრეებშიაც არ იციან, როგორ გავრცელდა ეს ხმა.

იოკოჰამა. კორეის იმპერატორმა და სამეფო ოჯახმა გაუგზავნეს მიკადოს, ნიშნად მეგობრობისა და ერთგულებისა, დიდძალი საჩუქარი, რომელიც უკვე მიიღეს ტოკიოში.—უცხოელ სამხედრო აგენტების ერთი ჯგუფი უკვე გაემგზავრა ბრძოლის ველზე.

ვენა. იაპონიის სამხედრო აგენტი დიდძალ ცხენსა, სურსათ-სანოვაგესა და დაჭრილ მეომართათვის საჭირო ნივთებს ყიდულობს იაპონიის მთავრობის ხარჯით.

(სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

15 აპრილი

პორტ-არტური. აქ სიწყნარეა. ოთხშაშაბათს იმ ადგილას, სადაც „პეტროპავლოვსკ“-ი დაიღუპა, ააფეთქეს ზევით ამოცურებული ნაღმები, იაპონელების მიერ ჩაწყობილი. ფოსტა ევროპიდან კვირაში ორჯელ მოდის.

ბერლინი. ამბავი მოვიდა ვლადივოსტოკის ესკადრის გენზანიდან წასვლის შესახებ. გენზანში იაპონელებმა მიიყვანეს 800 ჯარისკაცი, რომელნიც შეუდგნენ სიმაგრეების აგებას. მოელიან რუსთა იმ ჯარის ნაწილის თავდასხმას, რომელიც ნაპირ-ნაპირ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეიაში მიდის.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. „პეტროპავლოვსკი“-ს დაღუპვის შემდეგ რუსეთის საზღვაო მინისტრს ადმირალ აველანს ამნაირი დეპეშა მიუღია მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდლისაგან:

„ძვირფასო ფედორ კარლის ძე! შორიდან გეხვევით. ვიცი, რა მწუხარება გადგიათ. ჩემს არმიას მტკიცედა სწამს, რომ ჩვენი სახელოვანი მეზღვაურები უსათუოდ ძალზე გაანადგურებენ იაპონიის ფლოტს.

კუროპატკინი“.

საზღვაო მინისტრს პასუხად შემდეგი დეპეშა გაუგზავნია: „გულწრფელად გმადლობთ, დიდად პატივცემულო ალექსი ნიკოლოზის ძე, გულთბილად დეპეშისათვის. თქვენის არმიის მტკიცე რწმენა დიდი ნუგეშია დიდის ოკეანის ფლოტისათვის. ჩვენ მეზღვაურებსაც მტკიცე იმედი აქვთ, რომ მტერსა სძლევენ და ანდრიას ბაირაღის სახელს დაიცავენ. მსურს თქვენი გამარჯვება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ჯარი თქვენის მეთაურობით ახალის შესანიშნავის გამარჯვებით შეამკობს სამხედრო ისტორიისა

აველანი“.

„კელნ. ცაიტუნგ“-ი იუწყება: ადმირალ სკრიდლოვს ვითომ ეთქვას, ძლიერ ვეცდები, ვლადივოსტოკის ესკადრა პორტ-არტურის ესკადრას შევუერთოო. („ნ.“).

„მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი შემდეგს სწერს ადმირალ სკრიდლოვზე: იქნება ადმირალმა ვლადივოსტოკში მოქმედება ამჯობინოს. იქ მშვენიერი მსწრაფლ-მავალი კრეისერები ჰყავთ რუსებს და ეხლა ამ კრეისერებს ბევრის რისამე გარიგება შეუძლიანთო.

ფრანგული გაზ. „ეკო დე პარი“ ირწმუნება: ბალტიის ესკადრა ვიცე-ადმირალ როჟდესტვენსკის უფროსობით შორეულ-აღმოსავლეთს 2 ივლისს წავაო. ღონისძიებაა მიღებული, რომ ამ ესკადრას წასვლა არ დაუგვიანდესო.

„დეილი მეილ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: რუსეთმა პორტ-არტურს 4 წყალ-ქვეშ მავალი ნავი გაგზავნაო. (რ. ლ.“).

პორტ-არტურთან 31 მარტს მომხდარ ბრძოლის თაობაზე „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება: 30 მარტს ღამეს პორტ-არტურის რეიდზე ნაღმები გემმა „კაჩიომარუმ“ ჩააწყო. ეს გემი ახალი ნაღმის მზიდველი გემია, წყალ-წყვა 700 ტონა აქვს და უფროსად კაპიტანი ოდა ჰყავს. კაპიტანმა ოდამ მშვენივრად იცის ნაღმის საქმე და ამას წინად ახალი თვით-მოძრავი მექანიკური ნაღმი მოიგონა. ამბობენ, კაპიტან ოდას მოგონილ ნაღმს მეტად დიდი ძალა აქვსო. ამ შესანიშნავ გამოგონებისათვის კაპიტან ოდას ჯილდოდ ორდენი უბოძა იაპონიის მთავრობამ. („რ. ლ.“).

„სტანდარდ“-ი იუწყება: პორტ-არტურთან 31 მარტს მომხდარ ბრძოლის შემდეგ იაპონიის საზღვაო მინისტრი იამომატო ადმირალ საიგოს საფლავზე წავიდა ტოკიოში და სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა. ადმირალი საიგო იაპონიის ფლოტის დამაარსებელი და იამომატოს თანამშრომელი იყო. („მ. ვ.“).

ინგლისურ ლიბერალურ გაზ. „დეილი ნიუს“-ის სამხედრო თანამშრომელი ნორმანი ამტკიცებს, იაპონიის ფლოტი უმთავრესად იმიტომ სჯობნის რუსის ფლოტს, რომ რუსის მატროსები უვიცი ხალხია, წერა-კითხვაც-კი არ იციანო. ეხლანდელ გემის იარაღისა და მეტად რთულ, სათუთ და სახიფათო მანქანებისა, ნაღმებისა და ყუმბარების მოხმარება მხოლოდ მცოდნე, გონება განვითარებულ ხალხს შეუძლიანო. მარტო სიმამაცე არა კმარა. ეხლანდელი მეზღვაური უსათუოდ მცოდნე, მოხერხებული კაციც უნდა იყვეს. იაპონიის ფლოტის მატროსებში თითქმის არავინ ურევია უცოდნელი კაცი, რუსის ფლოტში-კი მხოლოდ მატროსების 8—10 პროცენტმა (100 კაცში—8-10-მა) ძლივს იცის წერა-კითხვა. იაპონიამ დიდი ხანია შეიგნო ხალხის განათლების საჭიროება და საყოველთაო, სავალდებულო, მუქთი სწავლა დააწესა. ეჭვი არაა, რუსებიც შეიგნებენ ეხლა სწავლის სარგებლობას და ამ ომის შემდეგ ხალხის განათლებას შეუდგებიანო. („ნ“).

იაპონიის მეორე არმია გენერალ ოკუს უფროსობით კარგა ხანია გამოვიდა იაპონიიდან, მაგრამ სად აპირობს ეს არმია ხმელეთზე გადასვლას, ან სად გადავიდა, ჯერ არავინ იცის. გაზეთებში ამის თაობაზე მეტად არეული ცნობები იბეჭდება.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: იაპონიის მეორე არმია გენერალ ოკუს უფროსობით ან დაგუშანში გადავა, ან დადუნგოუში და ლიაოიანისაკენ გაილაშქრებსო. („რ. ვ.“).

„რუსკი ინვალიდ“-იც ამნაირადვე ჰფიქრობს. გაზეთი სწერს: ჩვენის აზრით, იაპონიის მეორე არმია იალუს შესართავის დასავლეთით გადავა სადმე ნაპირას და გენერალ კუროკის პირველ არმიას მდ. იალუზე გადასვლას გაუადვილებს და დახმარებას გაუწევსო.

სულ სხვას იუწყებიან სეულიდან: 3 აპრილს იაპონიის მეორე არმია პორტ-არტურისაკენ წავიდა სატრანსპორტო გემებით. დაგუშანისა და დადუნგოუსაკენ სხვა რაზმები გაიგზავნებაო. („რ. ვ.“).

„ნ. ფ. პრესე“-ს სამხედრო თანამშრომელიც ჰფიქრობს, იაპონიის მეორე არმია გენერალ ოკუს უფროსობით პორტ-არტურს ახლო გადავა სადმე ხმელეთზე და პორტ-არტურს ალყას შემოარტყამსო. („რ. ლ.“).

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ი ჰფიქრობს, გენერალ კუროკის არმია მდ. იალუზე იჩჟუს ჩრდილოეთით გადავაო. („რ. ვ.“).

იგივე გაზეთი იუწყება: რუსებს ამ ჟამად კვანტუნის ნახევარ კუნძულზე, პორტ-არტურისა, დალნისა და ტალიენვანის მეციხოვნე ჯარიც რომ ჩავთვალოთ, 50 ათასი კაცი ჰყავსო. პორტ-არტურს საკვები სურსათი ბლომად აქვს. აგერ რამდენიმე თვეა, რაც სამხრეთ-მანჯურიაში პორტ-არტურისათვის ფქვილსა ჰყიდულობენ. ამას გარდა სამხრეთ-მანჯურიაში ცხენებისათვისაც დიდძალ სურსათს ჰყიდულობენ და აქეთ-იქით რუსის ჯარს უგზავნიან. პორტ-არტურში ჩინელ კიფონტაოს წისქვილები დღე და ღამ მუშაობენ და რუსის ჯარისათვის ფქვილს ამზადებენ. („რ. ლ.“).

„დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: ერთმა გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ სთქვა, იაპონია ძლიერ ეცდება კორეიაში გამაგრებას: კორეიას ჯარით გაავსებს, ყველგან ციხეებს ააშენებს, რკინის გზებს გაიყვანს, ერთის სიტყვით ისე გაამაგრებს, რომ რუსები ახლო ველარ მიეკარნენ კორეიას. როცა იაპონია ამას აასრულებს, მაშინ შეიძლება მორიგებაზე ლაპარაკიც გაიმართოს. („მ. ვ.“).

„ფრანკფ. ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ ხარბინიდან: ხმა დადის, ვითომ იაპონელებს თავიანთ ბაირაღ ქვეშ ინგლისელებისა და ამერიკელების გემებიც დაჰყავდეთ. ირწმუნებიან აგრეთვე, ვითომ იაპონელებს ხშირად ახალ-ახალი ნაირ-ნაირი გემები მოჰყავდეთ; ამბობენ, პორტ-არტურში ინგლისელი ჯაშუში დაიჭირეს და კანვოით მუკდენში მოიყვანესო. ეჭვი 4 სხვა ინგლისელზედაც მიიტანეს. კლერკსონისა და ამხ. ფირმის მმართველმა გაქცევა მოასწრო და ეხლა ბეჯითად დაეძებენ. ასე ამ სამის კვირის წინად ამერიკელი რალი სადღაც გაჰქრა. ამბობენ, რალიც იაპონელების მიმხრე იყოო. („რ. ლ.“).

ჩინეთი და რუსეთი ჩინეთის ელჩმა პეტერბურგში 10 აპრილს გამოუცხადა რეიტერისა და გავასის სააგენტოების წარმომადგენლებს, ის მითქმა-მოთქმა, ვითომ ჩინეთის საელჩო პეტერბურგის დატოვებას აპირებდეს, არაფერზე არაა დაფუძნებულიო. ამას გარდა, ელჩმა უთხრათ, ამ დღეებში ჩინეთის მთავრობამ შემატყობინა, ნეიტრალიტეტს მტკიცედ დავიცავთო, ეხლა იმდენი ჯარი გვყავს, რომ ხუნხუზებს და ბოქსიორებს მალე დავაწყნარებთო; თუ ჩინეთის ხალხმა რუსებისა და სხვა ევროპიელების წინააღმდეგ რაიმე აჯანყება მოახდინა, ამ აჯანყებასაც მალე ჩავაქრობთო. („რ. ვ.“).

„დეილი მეილ“-ი იუწყება: გენერალი მა ამბობს, ჩემი აფიცრები და ჯარის-კაცები მოუთმენლად ელიან, როდის იქნება, მდ. ლიაოხეზე გადავიდეთ და რუსებს შევებრძოლოთო. მაგრამ მე ვამშვიდებ ჩემს ჯარს და, რაც კი შეიძლება, ნეიტრალიტეტის დაცვას ვცდილობო. („რ. ლ.“).

იგივე გაზეთი იუწყება: ჩიფუდან ამბავი მოვიდა ლონდონს, ჩინელებმა ერთის ინგლისელის ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით, ჩიფუში საარტილერიო სკოლა დააარსესო. ამ სკოლაში ეხლა 100 რეკრუტი (ახალი ჯარის-კაცი) და 20 კადეტი სწავლობსო. ჩინელებს მანჯურიაში სანოვაგე და საკვები სურსათი აღარ გააქვთო. („პ. ვ.“).

ამერიკა და იაპონია. ამბობენ, ტოკიოში ერთი ამერიკელი ექიმი-ქალი და რამდენიმე და მოწყალებისა მოვიდნენ დაჭრილ იაპონელ მეომრების მოსავლელადაო. („რ. ვ.“).

„მატენ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ტოკიოდან: შეერთებულ შტატების წარმომადგენელი ტოკიოში ყველა აქაურ ნადიმსა და დღესასწაულში დიდ მონაწილეობას იღებს. ამერიკის ელჩის ასეთი ქცევა აშკარად არღვევს შეერთებულ შტატების ნეიტრალიტეტსა და რუზველტის განცხადებას ეწინააღმდეგება. ამის გამო ჰფიქრობენ, იქმნება, თუ გარემოებამ მოიტანა და საქმე გაჭირდა, შეერთებულ შტატებმაც მიიღონ ომში მონაწილეობაო. („რ. ლ.“).

ინგლისელ კორესპონდენტის ჩივილი. რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა, ყველა კორესპონდენტს, ვინც კი ბრძოლის ველის ახლო ზღვაში, თუ ხმელეთზე უმავთულო ტელეგრაფით დეპეშებს გაჰგზავნის, სამხედრო ჯაშუშად ჩავსთვლით და სამხედრო სამართალში მივსცემთო. „ტაიმს“-ის კორესპონდენტმა ამ განკარგულების წინააღმდეგ „ტაიმს“-ში პროტესტი დასწერა. კორესპო-

ფელეტონი

იაპონია და იაპონელნი

VII *)

ვაჭრობა-მრეწველობა, მუშათა მდგომარეობა და ორგანიზაცია.

ვაჭრობა-მრეწველობა იაპონიაში წლობით კი არა, საათობით იზრდება. როგორც მცოდნე და დაკვირვებული კაცები ამბობენ, შორს არ არის ის დრო, როდესაც მთელი იაპონია ერთ დიდ ქარხნად გადაიქცევა და ისეთივე სამრეწველო სახელმწიფო შეიქნება, როგორიც, მაგალითად, ინგლისია. თვით მოწინავე იაპონელნი იმ აზრისანი არიან, რომ ბუნებით იაპონია მიწათ-მოქმედი ქვეყანა არ არის და მალე მცხოვრებთა დიდმა უმრავლესობამ ხსნა ინდუსტრიის განვითარებაში უნდა ეძიოს. ამ აზრს იაპონურ გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე ყოველ დღე შეჰხვდება თურმე კაცი. თვით კანონმდებლობასაც ეტყობა ამ გვარი ტენდენცია: იგი დიდ დახმარებას უწევს მრეწველობის განვითარებას. იაპონიას ყველაფერი მოეპოება: ქვა-ნახშირი, რკინა, სპილენძი, ოქრო, ვერცხლი, დიდ-ძალი მუშა ხელი, მეტად მოხერხებული საზღვაო გზა და, რაც უფრო საყურადღებოა, დიდი, თითქმის თვალ გადუწვდენელი, ბაზარი სულ მცირე მანძილზე (ჩინეთი).

საქარხნო მრეწველობასა და მსხვილ ვაჭრობას პირველად ფეხი მთავრობამ აადგმევინა. მთავრობა აარსებდა სხვა-და-სხვა ქარხნებს და შემდეგ ამა თუ იმ პირობით კერძო კაცებს ან საზოგადოებებს აძლევდა. თვით ხალხის საოცარ მხნეობასა და ნიჭთან ერთად ინდუსტრიის განვითარებას ძალიან შეუწყო ხელი სამრეწველო სასწავლებლების დაარსებამ და ამ სასწავლებლების მეოხებით სამრეწველო ცოდნის გავრცელებამ. სწავლა-განათლების საქმეს იაპონიაში ცალკე ფელეტონს ვუძღვნით, მაგრამ ამ ჟამად სამრეწველო სკოლებზე ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვით.

იაპონია, რომელიც კლასიციზმით არასოდეს არა ყოფილა ისე გატაცებული, როგორც ევროპაა (უწინ იაპონიაშიაც იყო თავისებური, ე. ი. ჩინური, კლასიციზმი), რეალურ განათლებას ყოველთვის უპირატესობას აძლევდა. სპეციალ რეალურ სასწავლებლებს გარდა, თვით სახალხო სკოლებშიაც კი ასწავლიან ელემენტარულ ცნობებს რეალურ საგნებიდან. ამ ჟამად იაპონიაში არსებობს: 1. სკოლები ხელოსნათათვის, კურსი 5 თვიდან 4 წლამდეა; 2. დაბალი სამრეწველო სასწავლებლები სამიწათმოქმედო, სატეხნიკო და საკომერციო განყოფილებებით; 3. რეალურ-სამრეწველო გიმნაზიები ყველა საოლქო ქალაქში; 4. უმაღლესი სამიწათ-მოქმედო სასწავლებელი ოთხის წლის კურსით სამიწათ-მოქმედო, საინჟენერო და სატყეო განყოფილებებით; 5. უმაღლესი საკომერციო სასწავლებელი და 6. პოლიტეხნიკუმები კიოტოსა და ოსაკაში. საყურადღებოა, რომ პარლამენტი თითქმის ყოველთვის ავალებს მთავრობას, რეალურ განათლებას რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციოს. სავულისხმოა ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტებსა და, საზოგადოდ, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებული ახალგაზრდობა ძალიან ნაკლებად ეტანება სახელმწიფო სამსახურს (შეიძლება იმიტომ, რომ სასყიდელი მცირეა) და თავისუფალ პროფესიებს. უმრავლესობა მრეწველობას ჰკიდებს ხელს. ყოველ შემთხვევაში, დიპლომიანი ყმაწვილი კაცი ჯერ მრეწველობაში სცდის ხოლმე თავს და თუ ბედმა არ გაუღიმა, სახელმწიფო სამსახურს ან თავისუფალ პროფესიას ჰკიდებს ხელს. ეს მოვლენა იმდენად თვალსაჩინო შეიქნა, რომ, სხვათა შორის, იუსტიციის მინისტრმა 1902 წელს იაპონიის უნივერსიტეტების რექტორებს აცნობა: დავნიშნე ვადა სწავლა დამთავრებულ სტუდენტ-იურისტთა სამსახურში შესასვლელადო. ვინც ამ ვადას გადააცილებს, სახელმწიფო სამსახურში აღარ იქნება მიღებულიო.

ამ რიგად იაპონიაში ყველაფერი ხელს უწყობს მრეწველობის განვითარებას. შესანიშნავი იაპონიის მრეწველობაში ნაწარმოებთა მრავალგვარობაა. სულ უმნიშვნელო, ისიც სპეციალურ, საქონლის გარდა (მაგალითად, საქიმიო ნაწარმოებისა), იაპონია დღეს ყველაფერს შინ ამზადებს, ამასთან მარტო თავისთვის კი არა, გარედ გასატანადაც-კი. ეს გარემოება დიდად საყურადღებოა. 30 წლის წინად იაპონიიდან სხვა სახელმწიფოში სულ არაფერი გაჰქონდათ, დღეს-კი დამზადებულ საქონლის 38% გააქვთ. ამ მხრივ იაპონიამ ევროპის ბევრ სახელმწიფოსაც გაუსწრო. აი, ორიოდე ციფრი იმ საქონლიდან, რასაც მრეწველობა ამზადებს, გარედ გააქვს:

ინგლისს	82%
შვეიცარიას	75%
გერმანიას	65,9%
საფრანგეთს	55,6%
იაპონიას	38%
ბელგიას	37,4%
ავსტრ-ჰუნგრეთს	27,2%
შვეციას	16,4%

იაპონიის საგარეო ვაჭრობა 1875 წლიდან 1901 წლამდე ერთი ათად გადიდდა. აი ციფრები:

1875	წელიწადი	47,300,371	იენი
1885	„	64,435,928	„
1890	„	138,332,087	„
1895	„	265,372,756	„
1898	„	444,237,909	„
1901	„	508,558,615	„

რაც ხანი და დრო გადის, იაპონიას მეტი დასამუშავებელი საქონელი შეაქვს და დამუშავებული-კი გააქვს. საუკეთესო მაგალითი ამისა შალეულობის წარმოებაა. მატყლი იაპონიაში სულ არ მოიპოვება. ამისდა მიუხედავად ოსაკაში უზარმაზარი ქარხნებია შალეულობისა. 1886 წელს იაპონიაში 65 ათასი მატყლის სართავი ჯარა იყო, 1891 წ.—354 ათასი, 1896 წ.—800 ათასი, 1899—მილიონ ას ოცი ათასი, ხოლო დღეს, ეჭვი არ არის, ორ მილიონსაც აღემატება. 1885 წელს იაპონიაში დასამუშავებლად შეიტანეს $1\frac{1}{2}$ მილიონ მანეთის მატყლი, 1898 წელს-კი 47 მილიონ მანეთისა. დღეს იაპონია ამზადებს თავისთვის საჭირო შალეულს და ამას გარდა დიდძალი გააქვს ჩინეთსა და სხვაგან.

ასევე ძლიერ განვითარდა აბრეშუმეულისა და ბამბეულის წარმოება. იაპონიის საქარხნო წარმოების საქმეში პირველი ადგილი ბამბეულს უჭირავს. პირველი დიდი ქარხანა დაარსდა 1882 წელს ოსაკაში. მას შემდეგ ისე გაძლიერდა ეს დარგი წარმოებისა, რომ 1899 წელს იაპონიაში არსებობდა 95 ბამბის სართავი ამხანაგობა და მუშაობდა ამ წარმოებაში 74,146 კაცი. ქარხნები ისეა მოწყობილი, როგორც თანამედროვე ტეხნიკა თხოულობს. 50 წლის წინად იაპონია სხვა ქვეყანებში დამზადებულ ბამბის ნაწარმოებს ხმარობდა, ეხლა კი იაპონია შინაურ ბაზარს აკმაყოფილებს და ამას გარდა ნაწარმოები გააქვს ჩინეთს, ინდოეთს და აღმოსავლეთ ციმბირში. ასევე ბლომად ამზადებს იაპონია აბრეშუმეულს. აბრეშუმეული იაპონიას 100 მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს აძლევს.

არსად ქაღალდის წარმოება ისე არ არის განვითარებული, როგორც იაპონიაში. როგორც უკვე ვსწერდით, ქაღალდისაგან იაპონელნი ბევრ რამეს აკეთებენ და, სხვათა შორის, ტანისამოსსაც. 1898 წელს ქაღალდის წარმოებაში მუშაობდა 66,500 ოჯახი. უკვე არსებულ მრავალ ქარხნებს გარდა, შარშან ტოკიოში დაარსდა ერთი უზარმაზარი ქარხანა, რომელიც დღეში 500 ფუთ ქაღალდს ამზადებს. იქვე არსებობს სიხაშინო ქარხანა, სადაც 1000 მუშაა.

როგორც ვსწერდით, უპირველესი წუმწუმა (ასანთი) მთელ დედამიწის ზურგზე შვეციაში მზადდება. იაპონიამ მთელი აღმოსავლეთ აზიისა და ინდოეთიდან სრულიად განდევნა შვედური წუმწუმა. 1897 წელს იაპონიაში 269 ქარხანა იყო წუმწუმისა, სადაც მუშაობდა 47,724 კაცი. ამას გარდა სოფლად წუმწუმების საწარმოებლად დამოუკიდებლად მუშაობდა 33,551 კაცი. იაპონიაში დღეს მრეწველობის ყველა დარგს შეხვდება კაცი. არის ბრინჯაოს, ფაიფურის და ფაიანსის მრეწველობა (16 ათასი კაცი მუშაობს), არის შაქრის ქარხნები, არყის ქარხნები და სხვა. ქოლგები რა არის, მარტო ქოლგებს რამდენიმე ათ-მილიონ მანეთისას ამზადებენ იაპონელნი და გააქვთ გასაყიდად ჩინეთსა, ავსტრალიასა და ამერიკაში.

---

*) იხ. „ცნ. ფურც“. № 2461.

ნდენტი სწერს: რუსის მოხელეების განკარგულება უსამართლოაო. უმავთულო ტელეგრაფი მარტო მე მაქვს, ასე რომ ეს განკარგულება განსაკუთრებით მე მეხებაო. რუსის სამფლობელო ზღვაში არასოდეს არ ვყოფილვარ, მხოლოდ ნეიტრალურ ზღვაში დავდივარ და იაპონელებს ახლოსაც არ მივკარებივარ, ცნობის მიცემა და რისამე შეტყობინება ფიქრად არ მომსვლია. უმავთულო ტელეგრაფით დეპეშას მხოლოდ ვეი-ხაი-ვეიში ვგზავნი და იქიდან ჩემი დეპეშა ნეიტრალურის კაბელით პირდაპირ ლონდონს მიდის, ასე რომ იაპონელები ჩემ დეპეშას ხელში ვერას დროს ვერ ჩაიგდებენ და რაიმე საიდუმლოს ვერ გაიგებენ, მით უმეტეს, რომ ჩემი დეპეშა შიფრითაა დაწერილი. იმედი მაქვს, დაინტერესებული სახელმწიფოები მოითხოვენ, რომ რუსეთის განკარგულებას ძალა მხოლოდ რუსეთის სამფლობელო ზღვაში ჰქონდესო („რ. ლ.“)

ამბობენ, რუსეთის მთავრობის განკარგულება არც ამერიკელებს მოუვიდათ ჭკუაშიო („ნ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ 14 აპრილს მოხდა კრება კავკასიის **გეოგრაფიო საზოგადოებისა.** კრებამ დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში და წლევანდელი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. შარშან შემოსულია 4283 მან. 84 კ., დაუხარჯნია 3,10 მან. 1 კ. შემოსავალი მდგომარე წლისთვის გაანგარიშებულია 3766 მან. ფულად ამ ჟამად საზოგადოებას აქვს 15,330 მან. 63 კ. შემდეგ წევრმა ა. ნ. დიაჩენკო-ტარასოვმა წაიკითხა მოხსენება აფხაზეთში მოგზაურობის შესახებ. მომხსენებელმა გააცნო კრებას აფხაზეთის ბუნება, ხალხი, წარსული. სხვათა შორის, მომხსენებელი სწერს, რომ ოსმალები ძალიან სცდილობენ, ქრისტიან აფხაზებს მაჰმადიანობა მიაღებინონ. ბ-ნ დიაჩენკო-ტარასოვის აზრით, ოსმალებს სრულებით უნდა აეკრძალოთ აფხაზეთში შესვლა, ხოლო აფხაზეთის კულტურულად ასამაღლებლად საჭიროა შიგა და შიგ გადმოსული რუსები იქნან ჩასახლებულიო. დასასრულ არჩეულ იქმნა საზოგადოების კომიტეტის ოთხი წევრი.

◆ 14 აპრილს მოხდა **ბავშვთათვის მზრუნველ** საზოგადოების კრება. საზოგადოებას აქვს საბავშვო სახლი, ორი თავშესაფარი, ავლაბრის სკოლა და სახელოსნო. შარშან გაუფართოვებიათ ხელსაქმის პროგრამა საბავშვო სახლში და სწავლის პროგრამა პირველ თავშესაფარში. საზოგადოება უპატრონო ბავშვებს იყვანს და თავშესაფარსა და სკოლებში ინახავს და ასწავლის შრომას. თავისს დაწესებულებებში საზოგადოებას ჰყავს 110 ბავშვი, აქედან 32 საბავშვო სახლში, 51 პირველ, ხოლო 27 მეორე ბავშვთა თავშესაფარში. ნასადილევს ავლაბრის სკოლაში ასწავლიან 127 ყმაწვილს. საზოგადოებას შარშან შემოსვლია 12,679 მან. 22 კაპ. დაუხარჯნია 12,260 მან. წლეულს შემოსავალი ნავარაუდევია 14,073 მან. 30 კაპ. კრებამ დაამტკიცა როგორც ანგარიში, ისე აღრიცხვა. დასასრულ კრებამ აარჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

◆ საჩუნჩიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ადგილობრივი ქართველები ღრმად შეგვაწუხა სამპატიურ მოღვაწის **ლადო აღნიაშვილის** გარდაცვალებამ“.

◆ ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭოში ტფილისის მაზრის საეკლესიო სკოლების მეთვალ-ყურეს მღვ. მახათაძეს წინადადება შეუტანია **მაზრის სოფლის სკოლებისათვის** აგებულ იქმნას საკუთარი შენობები. ამისათვის, მღვ. მახათაძის აზრით, საჭიროა აღებულ იქმნას უპროცენტო სესხი სათადარიგო თანხიდან (ეს თანხა პურად არის შეკრებილი). თითო სკოლისათვის საჭიროა თურმე 1200 მანეთი. საბჭოს დაუდგენია, დახმარება სთხოვოს ტფილისის მაზრის უფროსს.

◆ განსვენებულს **ლადო აღნიაშვილს** დღეს დილით წაასვენებენ ქვაშვეთის წმ. გორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, შემდეგ დაკრძალვენ კუკიის სასაფლაოზე.

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორმა წარუდგინა გუბერნატორს ცნობები ოლქის სასამართლოს და სამოსამართლო პალატის მიერ **დასჯილთა და განთავისუფლებულთა** შესახებ 1903 წლის განმავლობაში. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, წარსულ წელს დაუსჯიათ 679 კაცი და 24 ქალი. გაუმართლებიათ 228 კაცი და 14 ქალი, გაუმართლებიათ სამართლისაგან — 31 კაცი. კატორგაში გაუგზავნიათ 19 კაცი და 2 ქალი; გამასწორებელ რაზმში — 128 კაცი. ყოველივე უფლება ჩამოურთმევიათ 13 კაცისთვის. უფლების ჩამოურთმევლად დაუსჯიათ 168 კაცი და 6 ქალი. წოდებით ასე არიან განაწილებულნი: შთამომავლობით აზნაური ყოფილა 16 კაცი; პირადი აზნაური — 3 კაცი. მართლ-მადიდებელ სარწმუნოების სასულიერო პირი 2; საპატიო მოქალაქე — 2, ვაჭარი — 3, უბრალო მოქალაქე — 75 კაცი და 2 ქალი, სოფლის მცხოვრები — 294 კაცი და 8 ქალი, ჯარის კაცი — 8. წლოვანობით ასე განაწილდებიან: 10—17 წლამდის — 17 კაცი, 17—21 წლამდის — 75 კაცი და 1 ქალი, 21—50 წლამდის — 291 კაცი და 5 ქალი, 50—70 წლამდის — 27 კაცი და 4 ქალი, 70 წელზე მეტისა — 10 კაცი. წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა 137 კაცი, უცოდინარი 283 კაცი და 10 ქალი.

◆ **მისაღები ეგზამენები** ტფილისის დედეთა მეორე გიმნაზიაში მოსამზადებელ კლასში მოხდება 25, ხოლო პირველ კლასში 27 მაისს. დანარჩენ კლასებში ვაკანსიები არ არის, ამიტომ არავის მიიღებენ. ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში მისაღები ეგზამენები მოხდება 12 მაისსა და 1 სექტემბერს. 1, მე-3 და მეხუთე კლასში უადგილობისა გამო არავის მიიღებენ. როგორც ვაჟთა მესამე გიმნაზიის დირექტორი აცხადებს, ამ გიმნაზიაში ახლად შემსვლელთ უნდა წარადგინონ: მეტრიკის მოწმობა, ყვავილის აცრის მოწმობა, მოწმობა ჩამომავლობის შესახებ და ფოტოგრაფიული სურათი. უმმოწმობებოდ თხოვნა არ მიიღება.

◆ საუკეთესო ჯიშის ცხენების მომშენებელი მთავარი გამგეობა შეეკითხა ტფილისის გუბერნატორს, რისთვის მოესპო ამ გამგეობას ამ წლიდან **საერობო თანხიდან** შემწეობა 1500 მანეთი, რომელსაც ეს გამგეობა ხარჯავდა ცხენის დოღის მოსაწყობად ტფილისში.

◆ 14 აპრილს მოხდა ტფილისის **მოქალაქეთა დეპუტატების კრება.** კრებამ მთელი საღამო იმათ სიების განხილვას მოანდომა, რომელთაც თავიანთი სახლობებით მოუსურვებიათ ჩაეწერნენ ტფილისის მოქალაქეებად. კრებამ განიხილა 70 თხოვნა და, ორიოდეს გარდა, თითქმის ყველა შეიწყნარა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა „სვეტის“ საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნ გ. ა. ყარანგოზიშვილის წინადადება. წარმომადგენელი სთხოვს გამგეობას, იჯარით მისცეს ფირმის **ქუჩების განათების საქმე.** გამგეობამ ბ-ნ ყარანგოზიშვილის განცხადება განსაკუთრებულ კომისიას გადასცა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მოიწონა ბ-ნ ენფიანჯიანცის მიერ შემუშავებული წესი თვალ-ყურის გდებისა შენობების აგების დროს, რომ **უბედურებანი არ მოხდეს ხოლმე.** გამგეობამ დაადგინა, დაჰბეჭდოს ეს წესი და დაურიგოს ქალაქის ტეხნიკოსებს სახელმძღვანელოდ.

◆ **სოფ. ბაზალეთში** (დუშეთის მაზრა) მომავალ სამოსწავლო წლიდან არსდება ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა.

◆ კვირას, 18 აპრილს, დიდუბეში აკურთხებენ ქალაქის **სამკურნალოს დიდუბის განყოფილებას.** კურთხევაზე დასასწრებლად მიწვეულნი არიან გუბერნატორი, ქალაქის ხმოსნები და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

◆ კავკასიის საოლქო საინჟინერო გამგეობამ აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ ქ. ახალციხის ჯარისთვის გამართული წყლის მილი მარტის დამდეგს მოიშალა და რამდენიმე ხანი ჯარი უწყლოდ დარჩაო. ამასთან ვიღაცას მილები და ჭები ქვებითა და თიხით ამოევსო და თვით მილების სახურავები და მანქანები მიელეწ-მოელეწა. საინჟინერო გამგეობა სთხოვს გუბერნატორს, რადგან ამ წყლის მილს დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარისთვის და ხაზინასაც დიდი ზარალი მოსდის შესაკეთებლად, ამიტომ ადგილობრივ პოლიციას მისწერეთ, მხნე ზომები მიიღოს იმის დასაცველადაო.

იაპონელებმა ლუდის ქარხნებიც გამართეს და ჩინეთსა, ფილიპეს კუნძულებსა და ჰოლანდიის ინდოეთიდან თითქმის განდევნეს გერმანელთა განთქმული ლუდი. ოსაკაში რამდენიმე ქარხანაა კედლისა და ჯიბის საათებისა, აგრეთვე კბილის „შჩოტკებისა“, მინებისა და მრავალ სხვისა. სამრეწველო ცენტრი იაპონიისა ქალაქი ოსაკაა. იქ არის უზარმაზარი ქარხნები, ელექტრონითა და ორთქლის ძალით მომქმედი. ამ ჟამად ოსაკას ქარხნებში 100 ათასამდე მეტი მუშა იქმნება.

სამთო მრეწველობა იაპონიაში ძველადვე იყო, მაგრამ მადნების ევროპიულად დამუშავებას მხოლოდ ამ ოც-ოცდა-ათის წლის წინად შეუდგნენ. იაპონიაში ბლომად არის ოქრო, ვერცხლი, რკინა, ნავთი, მარილი, მაგრამ ყველაზე უფრო მდიდარია იაპონია ქვა-ნახშირითა და სპილენძით. სპილენძით, მაგალითად, იაპონია სამჯერა სჯარბობს რუსეთს. ქვა-ნახშირის მადანი ხომ გამოულეველია იაპონიაში. ქვა-ნახშირის მრეწველობა დღითი-დღე იზრდება. 1878 წელს დაიმუშავეს იაპონიაში 42 მილიონი ფუთი, 1898 წელს — 330 მილიონი ფუთი.

1901 წელს იაპონიაში არსებობდა 3,349 სამრეწველო, სავაჭრო და სხვა ამხანაგობა. თანხა ამ ამხანაგობებისა უდრიდა 700 მილიონ მანეთს.

ზემოდ უკვე ვთქვით, რომ იაპონელნი დიდ მნიშვნელობას აძლევენ ვაჭრობა-მრეწველობასაო. სხვათა შორის, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ამ სამი წლის წინად პარლამენტმა გამოსცა კანონი. კანონის ძალით დაწესდა განსაკუთრებული თანამდებობანი ინსპექტორებისა, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ იაპონიიდან საზღვარ-გარედ გასატან საქონელს. ინსპექტორს უფლება აქვს უვარგისს საქონლის გაგზავნა აკრძალოს. ამას გარდა ტოკიოში უმაღლეს სავაჭრო სკოლასთან არსებობს განსაკუთრებული კათედრა „საკომერციო ზნეობისა“.

მრეწველობის გაძლიერებასთან ერთად მატულობს მუშათა რიცხვიც. სამწუხაროდ, იაპონია ვერ დაიკვეხებს, შედარებით, რასაკვირველია, მუშათა კარგის მდგომარეობით. სამუშაო ფასის აწევა ამომავალ მზის ქვეყანაში მხოლოდ ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ დაიწყო. მანამდე სამუშაო ხელის სიმრავლის გამო ქარხნებსა, ფაბრიკებსა და სხვა დაწესებულებებში მომუშავენი მეტად მცირე სასყიდელს იღებდნენ. ზოგიერთ დარგში დიდ მუშას 14—16 საათის მუშაობისთვის ეძლეოდა 15—30 კაპეიკი, ქალს 10—20 კაპ. მხოლოდ ომის შემდეგ, როდესაც იაპონიის მრეწველობამ ახალ ბაზრების მეოხებით ფრთა გაშალა, სამუშაო ფასმა აიწია. საზოგადოდ-კი ევროპასთან შედარებით სასყიდელი იაპონელ მუშისა მეტად მცირეა. ამასთან ერთად არც მუშაობის პირობებია სახეირო. იაპონიამ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო შესაფერ კანონმდებლობით განსაზღვრა შრომისა. მართალია, კანონის ძალით აკრძალულია 10 წლისაზე პატარების მუშაობა, განსაზღვრულია უფრო დიდების სამუშაო დღე, მაგრამ ეს საკმაო არ არის იაპონელ მუშის კეთილდღეობისათვის. ბევრგან, განსაკუთრებით წვრილ წარმოებებში, მუშაობა იწყება რიჟრაჟზე და თავდება საღამოს 10 საათზე. 15-17 საათი ჩვეულებრივი სამუშაო დროა ასეთ დაწესებულებებში. ზოგგან 15 17 საათის მუშაობაში მოზრდილი ქალი მხოლოდ 10-17 კაპეიკს იღებს.

რა თქმა უნდა, მრეწველობის განვითარებასთან ერთად იაპონიაში, როგორც ყველგან სხვაგან, გამწვავდებოდა ურთიერთობაც კაპიტალსა და შრომას შორის.

„მდიდარ სამრეწველო საზოგადოებების დაარსებამ და უზარმაზარ ქარხნების აგებამ სრულიად შესცვალა საქმის ვითარება, — სწერს ტოკიოს უნივერსიტეტში პროფესორად ნამყოფი ჰენრიხ დიუმოლიარი. — რადგან ისტორია ყველგან და ყოველ დროს ერთისა და იმავე კალაპოტით მიმდინარეობს, ამიტომ იაპონიაში დღეს იგივე ხდება, რაც ევროპაში მოხდა იმ დროს, როდესაც მრეწველობამ და მაშინიზმმა, მაგალითად, ინგლისსა და საფრანგეთში, შინაურ სახელოსნოს ადგილი დაიჭირა. იაპონიაში მუშათა კლასის გაჩენას ფეხდაფეხ მოჰყვა ის „დაწყევლილი საკითხები“, რომელიც ყველგან შედეგია წარმოების პატრონისა და მუშის ურთიერთობისა. სამუშაო ფასი ჯერ კიდევ მცირეა, თუმცა ამ ბოლო დროს აიწია; სამუშაო დღე 12—14 საათზე ნაკლები იშვიათია; ჰიგიენურ და სანიტარულ პირობებს ცოტა ყურადღება ექცევა“.

რაღა საკვირველია ამის შემდეგ ურთიერთობის გამწვავება მუშასა და პატრონს შორის. შეტაკება და გაფიცვა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა სამრეწველო რაიონებში. დღეს ყველგან და ყოველის მხრივ ისმის იაპონიაში ლაპარაკი მუშათა უფლებების შესახებ. მთავრობაც ნება-უნებურად დიდ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს. წავიდა ის დრო, როდესაც სამრეწველოების პატრონნი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენსა და ჩვენ მუშებს შორის მამა-შვილური დამოკიდებულებაა, რომ ინტერესთა გამწვავება შეუძლებელია, რადგან ისე ვუვლით ქარხანას და ვექცევით მუშებს, როგორც საკუთარ სახლსა და ოჯახს, რომ ჩვენი ქვეყანა საკუთარის გზით მიდის და სხვას არა ჰგავსო. ასეთ ლათაიებს ბოლო დრომდე ხშირად გაიგონებდით. რაკი ამ ლათაიებს გასავალი აღარა აქვს, იაპონიის კაპიტალისტებმაც სხვა საშუალებას მიჰმართავს: ორი-სამი წელიწადია ქარხნისა და სახელოსნოების პატრონები ერთმანეთს უკავშირდებიან ურჩ მუშებთან საბრძოლველად. მოკავშირეს უფლება არა აქვს მიიღოს სხვა ქარხნიდან დათხოვნილი ან გაფიცვაში მონაწილეობის მიმღები მუშა. რა თქმა უნდა, ამით ვერ შეაჩერებენ მუშათა კანონიერ მოთხოვნილებების ზრდას. სოციალიზმმა უკვე მკვიდრად მოიკიდა ფეხი იაპონიაში. პირველად იგი ევროპიდან შეიტანა მცირე ჯგუფმა აგიტატორებისამ. მაშინ ამ აგიტატორებს სიფრთხილისა გამო მთავარი სადგომი იაპონიაში კი არა, სან-ფრანცისკოში (ამერიკა) ჰქონდათ. ეხლა თავისუფლებაა და სხვაგან გაქცევა საჭირო აღარ არის. იაპონელი მუშები ერთდებიან, აარსებენ კავშირებს, ჰმართავენ გაფიცვას და ამ გვარად ხშირად ლაგმავენ ფულის პატრონთა თავგასულობას. მუშათა მოძრაობა დღითი დღე იზრდება იაპონიაში. ფეიქრებს იოკოჰამასა და სხვა ქალაქებში ისეთივე ორგანიზაცია აქვთ, როგორიც ინგლისის ტრედ-უნიონებს. ასევე მოიქცნენ სტამბისა, მანქანების მკეთებელ და ტყავის ქარხნების მუშები, დეკორატორები, ქვის მთლელნი. თითქმის ყველა დიდ ქალაქში არსებობს მუშათა ორგანიზაცია.

აი, რასა სწერს „რუს. ვედ.“ ლონდონელი კორესპონდენტი: „იაპონიაში — მოგვითხრობს ერთი ინგლისელი მკვლევარი — დღეს უკვე არსებობს ძლიერი სოციალისტური დასი. საქარხნო ქალაქები, როგორიც ოსაკაა, სადაც დიდ-ძალი მუშა სცხოვრობს, ცენტრებია დაუსრულებელ გაფიცვებისა. იაპონელ ქარხნის მუშათა სათაყვანებელი კარლ მარქსი და ლასალია დღეს. იაპონელი მუშა ისევე გამგებია და მოყვარული ექსპერიმენტებისა, როგორიც იყო სამურაი. ამიტომ ბარიკადების ხანა იაპონიის დიდ სამრეწველო ქალაქებში შორს არ არის“. ახალ მოძღვრების გასავრცელებლად იაპონიაში არსებობს კავშირები, გაზეთები, წრეები. ამისთვის იაპონელებმა საჩაიებიც-კი გამოიყენეს. ბევრ საჩაიეში, სადაც წინად ხელოსანი და მუშა სიყვარულის რომანსებსა და გმირის მინომატოს ამბებს ისმენდა, დღეს ხშირად მდაბიურ ენაზე ლექციებს კითხულობენ ჰენრი ჯორჯისა და კარლ მარქსის მოძღვრებების შესახებ. ზემოხსენებული დიუმოლიარი სწერს: „მოძრაობა დღითი დღე ძლიერდება, კოოპერაციის პრინციპი თან და თან ახალ მომხრეებს პოულობს, შრომის ბიურო არსდება ყოველ ქალაქში. მარტო ტოკიოში ასამდე დავთვალე. ასეთი დაწესებულება ქალებისთვის იმდენივეა, რამდენიც კაცებისთვის... იაპონიის ხალხი საოცრად მოძრავ გონებისა და ტემპერამენტის მეოხებით, აგრეთვე იმის წყალობით, რომ ძველს, განვლილ და უკან დატოვებულს მაგრე რიგად არ ებღაუჭება, გოლიათის ნაბიჯით უახლოვდება იმ პოლიტიკურ და სოციალურ რეჟიმს, რომლის დროსაც მბრძანებელი ხალხის სურვილია“.

ი. ა—ძე

(შემდეგი იქნება)

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ წევრს ტ. ა. ენფიანჯიანცს დაავალა, შეიმუშაოს სექტემბრამდე ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ქალაქის ტეხნიკოსებმა და საამშენებლო განყოფილების მოხელეებმა.

◆ გზათა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ დამტკიცებულ გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად, რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის ეზოში წელს შეუდგებიან და დაამთავრებენ კიდეც ახალის შენობის აგებას სასწავლებლისათვის.

◆ ქალაქში უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში 25 სული გახდა ავად ყელის ჭირებით, 5—ყვავილით, 6—წითელათი, 3—ხურვებით და 3—სახადით.

რუსეთის ქრონიკა

◆ „ბესსარაბეცში“ დაბეჭდილია გუბერნატორის განჩინება 32 პირთა შესახებ, რომელთაც საიდუმლო დადგენილებათა მიუხედავად, კრება მოახდინეს 25 მარტს ქ. კიშინევში მოქალაქე ელიფლეიდერმანის სახლში. ყველა 32 კაცს სხვა-და-სხვა ვადით დაპატიმრება გადაუწყვიტა გუბერნატორმა.

◆ ხარკოვის საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგება ქალაქში ქალთა უმაღლესის კურსების გახსნის განზრახვას. ბევრ პროფესორს განუცხადებია სურვილი უსასყიდლოდ იკითხონ ლექციები კურსებზე. იმედი აქვთ, რომ ერობა, ქალაქი და უნივერსიტეტი დახმარებას აღმოუჩენენ კურსებს. უკვე შესდგომიან კურსების წესდების პროექტის შემუშავებას.

◆ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი „აღდგომა“ ოპერაში დასადგმელად გადაუკეთებიათ. მუსიკა იტალიელ კომპოზიტორ ოლფანოს შეუთხზავს. ოლფანო ამას წინად მოსკოვში ყოფილა რუსეთის სახორო მუსიკისა და რუსეთის ცხოვრების გასაცნობად.

◆ ნიჟეგოროდის გუბერნიის სოფ. მურაშკინი არა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს რუსეთის ცხოვრებაში. მთელ ამ დიდ სოფელში, რომლის მცხოვრებლები შინაურ მრეწველობას მისდევენ, კაცი ვერ ნახავს თურმე ერთ ძუძუ-მწოვარა ბავშვს. ძველ დროიდან შემოღებულ ჩვეულებით სხვა სოფელში აბარებენ მშობლები თავის ახალ დაბადებულ ბავშვებს გასაზრდელად. ადგილობრივი გაზეთის აზრით, ამ არა ჩვეულებრივი მოვლენის მიზეზი სიღარიბეა. მთელი სოფლის ქალები მუშაობენ, ძლივ ძლივობით შოულობენ სამყოფ სარჩოს და სრულებით არ რჩებათ დრო ძუძუ-მწოვარა ბავშვების მოსავლელად. მახლობელ სოფელში აბარებენ და სულ მცირე ფასს აძლევენ თავის ბავშვების გამზრდელთ.

◆ კიშინევის პოლიცმეისტერმა შემდეგი ბრძანება გამოსცა. ბესსარაბიის გუბერნატორისაგან გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა თანახმად, იმ პირთა შესახებ, რომელნიც ყალბ ხმების გავრცელებით აქეზებენ და აღელვებენ ხალხს, მივანდობ ყველა უბნების ბოქაულთ დაუყოვნებლივ სასტიკი გამოძიება მოახდინონ ხოლმე ამგვარ ხმების მომგონ-გამავრცელებელთა შესახებ, გამოარკვიონ მათი ვინაობა და ყოფა-ქცევა, შეიტყონ ვინ იყვნენ ამ ხმების გავრცელების მოწმენი და ყველა შეკრებილი ცნობები დაუყოვნებლივ მე გადმომცენ.

◆ 6 მაისს ვარშავაში მოხდება კრება რუსეთისა და გერმანიის რკინის გზების წარმომადგენელთა, რომლებმაც უნდა მოილაპარაკონ რუსეთსა და გერმანიას შორის საქონლის მატარებელთა პირდაპირ მიმოსვლის გამართვის შესახებ, საქონლის გადაუტვირთავად, მხოლოდ ვაგონების გაცვლით.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

12 აპრილს საბჭოს სხდომას ხმოსანთა არაჩვეულებრივი რიცხვი დაესწრო, სულ 29. თავმჯდომარემ, დ. ა. ლორთქიფანიძემ გააცნო საბჭოს სასულიერო სემინარიის მდგომარეობა: ქალაქის გამგეობა საჭიროდ სცნობს არჩეულ იქმნეს დეპუტაცია, რომელმაც ქალაქის სახელით უნდა იშუამდგომლოს საქართველოს ეგზარხოსის წინაშე სემინარიის ქუთაისში დატოვების შესახებ და, თუ საჭირო იქმნება, უწმ. სინოდის წინაშეცა. საბჭომ დაავალა ქალაქის მოურავს, აღძრას შუამდგომლობა ამ საქის შესახებ, რისთვისაც პირადად ნახოს საქართველოს ეგზარხოსი და თუ, საჭიროდ დაინახავს, თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლიც დაიხმაროს.

ბ-ნმა მიტროფანე ლაღიძემ სთხოვა ქალაქს, ნება მისცეს ელექტრონით განათოს კერძო პირთა სახლები გზა და გზა, თავის ქარხნიდან დაწყებული ქალაქის „კრუჟოკამდის“ და ქალაქის აფთიაქამდის. ნაცვლად ამისა ის ჰპირდება ქალაქს, უფასოდ დაუდგას ოთხი ელექტრონის ფარანი, რომელთაგან თითოს ექმნება 1000 სანთლის ძალა. ამასთან ბ-ნი ლაღიძე პირობასა სდებს, თუ ქალაქი თვითონ მოისურვებს ელექტრონულ განათების შემოღებას ან კონცესიას მისცემს სხვას, თავისი ფარნები დაუყოვნებლად გააუქმოს. ქალაქს გამგეობამ სასურველად სცნო ბ-ნ ლაღიძის წინადადება, საამშენებლო კომისია-კი წინააღმდეგი იყო. საბჭომ 26 ხმის უმეტესობით 3-ის წინააღმდე მიიღო ქალაქის გამგეობის მოხსენება. წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება ქუთაისში ტელეფონის გამართვის შესახებ. რამდენსამე ფირმას წინადადება მიუცია ქალაქისათვის, ჩვენ ვიკისრებთ ტელეფონის გამართვასო. ესენია: რუსეთის საელექტრო-ტეხნიკო ქარხნების სააქციონერო საზოგადოება „სიმენსი და გალსკე“, სამთო ინჟენერი ნ. გ. ალიბეგოვი, „პოლაკ და ამხ.“ რუსეთის საზოგალოება „შუკკერტი და ამხ“. და სხ. ამათგან საუკეთესო პირობებს იძლევიან სამთო ინჟენერი ალიბეგოვი და ფირმა „პოლაკი და ამხ.“ პირველი თხოულობს ტელეფონის გამართვაში 16,000 მანეთს, რომელიც ქალაქმა უნდა გადაუხადოს ორის წლის განმავლობაში; მეორე—15,134 მან., ფულის მიღების პირობები-კი თითქმის ისეთივეა, როგორიც პირველის. ქალაქის გამგეობა უპირატესობას აძლევს ბ-ნ ალიბეგოვს, რადგან იგი თვითონ ადევნებს თვალ-ყურს მუშაობას, ამასთან მუშაობის გათავებისათანავე არა თხოულობს ქალაქისაგან ფულსო, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ტელეფონის სადგურს შეეძლოს 200 აბონენტის დაკმაყოფილება (ბ-ნი ალიბეგოვი 100 აბონენტს ანგარიშობდა), მასთან ტელეფონის ავთულების გასაბმელად იხმარონო მუხის სვეტები (ბ-ნი ალიბეგოვი თხოულობდა, ზოგ ზოგ ალაგს ფიჭვის სვეტებიც იქმნეს ნახმარი). საბჭომ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, ერთხმად დაადგინა მოიწვიოს სპეციალისტები, რომელთაც უნდა განიხილონ, ვისი წინადადება უფრო ხელ-საყრელია ქალაქისათვის. საბჭოს მოხსენდა სათეატრო კომისიის წინადადება შესახებ იმისა, რომ თეატრის ქირა წარმოდგენების დროს გადიდებულ იქმნეს. ეხლა თეატრის უმცირესი ქირაა 35 მანეთი, საზოგადოდ-კი მთელი შემოსავლის 20%-ია; მაგრამ ეს 20% არასოდეს არ უნდა აღემატოს 100 მანეთს, თუნდ თეატრის შემოსავალი 1000 მანეთსაც გადასცილდეს. კომისია იმ აზრისა იყო, უმცირესი ქირა ყოფილიყო 40 მანეთი, შემდეგ-კი მთელი შემოსავლის 20% განუსაზღვრელად. საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა, დარჩეს ისევ ქირის ძველი რაოდენობა. საბჭოს მოხსენდა ქალაქის გამგეობის აზრი საქიმიო ლაბორატორიისათვის ადგილის არჩევის შესახებ. საბჭომ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, დაადგინა, ლაბორატორიის შენობა აგებულ იქმნეს მაჭავარიანისეულს ქალაქის ადგილზე.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 აპრილი

პეტერბურგი. დეპეშა კონტრ-ადმირალ იესსენისა ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზე, 14 აპრილს გამოგზავნილი: „12 აპრილს გენზანში ორმა ჩვენმა ნაღმიანმა გემმა ააფეთქა იაპონიის სავაჭრო გემი „გეიომარუ“; წყალრწყვა 500 ტონი; სანამ ააფეთქებდნენ, ნაპირზე გადმოსხეს ყველა მეზღვაურნი. იმავე დღეს საღამოს რვა საათზე ზღვაში ავაფეთქეთ იაპონიის გემი „ნაკანურა მარიე“, წყალრწყვით 220 ტონა. ამ გემიდან ხალხი თან წამოვიყვანე. ღამე 1 საათსა და 30 წუთზე ავაფეთქეთ კიდევ ერთი სამხედრო სატრანსპორტო გემი „კიენშიომარუ“, წყალრწყვით 4000 ტონა. გემს მოჰქონდა ბრინჯი, სხვა სამხედრო სურსათი და 1500 ტონამდე ქვა-ნახშირი. გემი შეიარაღებული იყო 4-ის 47 მილიმეტრიან ზარბაზნით ვოჩკისის სისტემისა. 17 აფიცერი, 20 ჯარის კაცი, 85 სამხედრო მუშა და 65 მატროსი თან წამოვიყვანე. უაფიცრებოთ დარჩენილმა მეზღვაურებმა, რომელნიც ნაპირზე უნდა გადასულიყვნენ, ჩვენ კრეისერზე გადმოსვლა არ ისურვეს, მტკიცე უარი გვითხრეს და იარაღით წინააღმდეგობა გაგვიწიეს, რისთვისაც გემთან ერთად დავღუპეთ“.

პორტ-არტური, 15 აპრილი (საკუთარის კორესპონდ.). გაზ. „ნოვი კრაის“ დეპეშით ატყობინებენ, რომ 12 აპრილს იაპონელები ი-ჩჟუსთან მდინარეზე გადასასვლელად მასალებს ამზადებდნენ. 13 აპრილს გათენებისას იმათი რაზმი კუნძულიდან ჩვენ ნაპირზე სოფ. „სინდია გოუსთან“ გადმოვიდა. აქ იმათ ჩვენ თავისუფალ მეომრებთან ცხარე შეტაკება მოუვიდათ. ი-ჩჟუს ჩრდილოეთით გაკეთებული ხიდი ჩვენებმა ზარბაზნებით დაანგრიეს. მდინარეზე გადმოსვლა მხოლოდ პონტონის ხიდით განაგრძეს, ი-ჩჟუს ჩრდილოეთით ნაპირზე გადმოსული ქვეითა ჯარი და ბატარეები, რომელნიც ტიურენჩენის პოზიციაზე პირდაპირ მიდიოდნენ, ჩვენმა ზარბაზნებმა უკუაქციეს, ამასთან იაპონიის ბატარეია ვერ გაიშალა და სროლა ვერ მოახერხა.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

15 აპრილი.

ლიაოიანი. 13 აპრილს მერე იალუზე შეტაკება არ მომხდარა. იაპონიის რაზმმა, რომელიც ტიურენჩენზე მოდიოდა და რომელსაც ჩვენმა ზარბაზნებმა სროლა დაუწყეს, არეულმა უკან დაიწია.

ლონდონი. ვლადივოსტოკის ესკადრის მოულოდნელად გაჩენამ გენზანში ძალიან შეაშფოთა იაპონელნი, რომელნიც დღემდე ამაზე ლაპარაკობენ.

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ გენზანიდან: იაპონიის სავაჭრო გემი „ტაიმსი“, გენზანში მიმავალი, შეჰხვდა რუსეთის ოთხ სამხედრო გემს, მაგრამ ამ გემებმა ვერ შენიშნეს. წინა დღეს რუსებმა დაინახეს გემი „გეისმარუ“, რომელსაც გენზანამდე გაჰყვნენ. ამით აიხსნება ესკადრის უეცარი მისვლა. რუსებმა ჩასძირეს „გეისმარუ“ და უკან, ჩრდილოეთისკენ, წავიდნენ, რადგან ეშინოდათ იაპონიის ფლოტის ვლადივოსტოკზე თავდასხმისა.

სეული. იუწყებიან, იაპონიის ფლოტის ნაწილი ვლადივოსტოკს წავიდა ახალ იერიშის მისატანად ამ ქალაქზეო.

„დეილ მეილ“-ს შანჰაიდან ატყობინებენ: 11 აპრილს გამოცხადდა მობილიზაცია იაპონიის მეხუთე და მეთერთმეტე დივიზიებისა, რომელთაგან უნდა შესდგეს მესამე არმიაო.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აპრილი.

ვენა. იმპერატორმა გამოფენა დაათვალიერა. რუსეთის განყოფილებაში იმპერატორს გრაფი კაპნისტი მიეგება.

შანჰაი („რეიტ. სააგენტო“). დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინეთის კრეისერი, რომელიც გუშინ შანჰაიდან 60 მილის მანძილზე ზღვაში კლდეს დაეჯახა, სრულიად დაიღუპა. ამერიკის შტატების კრეისერი „ნიუ-ორლეან“-ი ამაოდ ეცადა ჩინეთის გემი გადაერჩინა. მეზღვაურთაგან არავინ დაღუპულა.

სტამბოლი. ხმა არის, რომ რუსეთის მოთხოვნილებით, ოსმალეთმა შეამცირა ჯარები, რომელნიც მეოთხე სამხედრო ოლქში ჰყავდა შეკრებილი.

სუმი. ქალთა გიმნაზიის საფიზიკო კაბინეტში, გაკვეთილის დროს, აფეთქება მოხდა; რამდენიმე მოსწავლე ქალი და მასწავლებელი დაშავდნენ.

ქრისტიანია. პარლამენტის კრებაზე სახელმწიფოს პირველმა მინისტრმა განაცხადა, რომ საერთო დადგენილება ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც ჩრდილოეთის სამმა სახელმწიფომ მოახდინა, საფუძვლად დაედება ამ სახელმწიფოთაგან მუდმივის ნეიტრალიტეტის აღიარებასა.

ვენეცია. გერმანიის იმპერატორი კარლსრუეს გაემგზავრა.

სტამბოლი („კორეს. ბიურო“). საბერძნეთის სადიპლომატო მისსიამ ენერგიულად მოითხოვა დაკმაყოფილება სმირნაში მომხდარ ინციდენტისა გამო. ოსმალეთის მთავრობა მზადაა, აასრულოს საბერძნეთის მოთხოვნა, როგორც-კი ფაქტები გამორკვეული იქმნება. ბერძნების ცნობებით ინციდენტის მიზეზი შემდეგი იყო: საბერძნეთის ერთმა ქვეშევრდომმა უარი განაცხადა—სახელოსნო მოწმობაზე დაწესებულ ბაჟს არ გადვიხდიო. პოლიციამ სახელოსნო დაუკეტა, ხოლო საბერძნეთის მისსიის მდივანმა დელიანიმ მოინდომა სახელოსნოს ძალით გაღება, რასაც პოლიცია წინააღუდგა. დელიანიმ ხუთჯერ გაისროლა რევოლვერი და დასჭრა პოლიციელები. ამის შემდეგ დელიანი დაატუსაღეს, ეხლა-კი გაანთავისუფლეს.

ავსტრიისა და რუსეთის ელჩებმა ისევ წარუდგინეს პორტას მოთხოვნა ჟანდარმერიის რეორგანიზაციის შესახებ.

ბითლისისა და მუშის გალიდა სომეხთა ეპისკოპოსები სასუნს წავიდნენ, რათა სცადონ და შეამზოხეთა მეთაურს ანდრანიკს ჩააგონონ, მთავრობას დამორჩილდეს.

მოსკოვი. დაიწყო ფეროვსკისა და ბოგოვსკის საქმის გარჩევა. მათ ჰბრალდებათ, რომ ამერიკული დოდის ცხენი რუსულ ცხენად გამოიყვანეს და უკანონოდ ჯილდო აიღეს.

14 აპრილი

პეტერბურგი. 13 აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა გრენადერთა პოლკი და ურალის ყაზახთა სოტნა.

კრონშტადტი. პეტერბურგიდან მოვიდა საესკადრო ჯავშნიანი გემი „ბოროდინო“.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). გენერალ დე-ჯიორჯისი სალონიკიდან მონასტირს წავიდა. უცხოელი აფიცრები, რომელნიც ჟანდარმერიის რეორგანიზაციისათვის იყვნენ მოწვეულნი, თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგნენ სადონის ვილაიეტში.

15 აპრილი

ვაშინგტონი. სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი ემიგრაციის კანონების შეცვლისა.

ბელგრადი. მეფემ კერძო აუდიენციაზე მიიღო გუბასტოვი, რომელმაც შემდეგ მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი ინახულა. 15 აპრილს იმან რწმუნების ქაღალდები ჩააბარა მეფეს.

ვიტებსკი. ცეცხლი ღამე შეაჩერეს. დილამდის აქრობდნენ. ცეცხლის მქრობელი რაზმი სმოლენსკიდან გამოიწვიეს. ცეცხლი ებრაელთა თორას ეზოდან დაიწყო. დაიწვა 177 სახლი. ზარალი ხუთას ათას მანეთზე მეტია. მრავალი ხალხი დარჩა გარედ უსახლკაროდ.

პეტერბურგი. პროფესორი გენერალ-მაიორი მიხნევიჩი ნიკოლაევის საგენერალო შტაბის აკადემიის უფროსად დაინიშნა.

გენერალ-მაიორი სიპიაგინი ფელდ-იეგერთა კორპუსის მმართველად დაინიშნა.

რომი. 14 აპრილს საღამოს სასახლეში, რომელშიაც საფრანგეთის საელჩოა მოთავსებული, პრეზიდენტმა ლუბემ გაუმართა სადილი მეფესა და დედოფალს. სადილს დაესწრნენ, მეფე-დედოფლის გარდა, ტურინის გრაფი და მრავალი მინისტრები.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

დოქტორი მედიცინისა

ვლ. ივ. ინაშვილი

მიიღებს შინაგანით, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ დილით 1—2 ს. და საღამოთი 5—8 ს.-მდე. ალექსეევის ქუჩა № 7. მიხაილოვის ქუჩის დასაწყისი. (10—125—6)

ქუთაისში

ი. „გოკიელოვის შვილები“-ს

სავაჭრო სახლში იყიდება საუკეთესო ღირსებანი:

შაბიამანი ნამდვილ ინგლისური

გოგირდის ყვავილი „სუბლემა“

მანქანა ვენახის სარწყავი „ვერმორელი“

მანქანები გოგირდის საბერავი.

რაფია ვენახის საკონავი.

აგრეთვე ვერმორელის მანქანის ყველა ნაწილები ცალ-ცალკე. (16—142—3)

№ 4711

ო-დე-ლი

EAU DE LYS

თეთრი, ვარდისფერი და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფირდ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის. (შც. 10—8)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 წოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგ დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, შებიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Доз. ценз. Тифлисъ 15 Апрѣля 1904 г

ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის.).

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва.)